სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზებისა და შეფასების წესი

1. დოკუმენტის მიზანი

1.1. სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზებისა და შეფასების წესი განსაზღვრავს შპს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზებისა და შეფასების საქმიანობასთან დაკავშირებულ მიდგომებს და თანმდევ პროცესებს.

2. დოკუმენტის გამოყენების სფერო

2.1. სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზებისა და შეფასების წესი გამოიყენება ფაკულტეტების, დეპარტამენტებისა და კვლევითი ცენტრში გაერთიანებული აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის მიერ სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის განსახორიცლებლად.

3. ზოგადი დებულებები

3.1. სასწავლო უნივერსიტეტი მნიშვნელოვანად მიიჩვეს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განვითარებასა, მის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში და ზრუნავს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე. აგრეთვე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციაზე და სამეცნიერო სფეროში თანამშრომლობას.

3.2. წინამდებარე წესი ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტი მისიას, ძირითად ღირებულებებს/ პრინციპებს, არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, მისი მართვისა და ფინანსირების საკითხებს.

3.3. წესის სამართლებრივი საფუძვლებია:

- სასწავლო უნივერსიტეტის მისია;
- სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია;
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიები და მარეგულირებელი აქტები;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.

3.4. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები, სამეცნიერო საქმიანობის ფორმები და სახეები, აგრეთვე, სხვა თანმდევი ინფორმაცია განსაზღვრულია “კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიაში“.

4. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებაზე და მართვაზე პასუხიმგებელი სტრუქტურები

4.1. სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება მიმდინარეობს ფაკულტეტებზე/კათედრებზე, რომლებიც დამოუკიდებლად ირჩევენ კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებას, რაც ამავე დროს უნდა იყოს საგანმანათლებლო და სტუდენტთა ინტერესებთან ადაპტირებული;

4.2. სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობს რექტორის მოადგილე;

4.3. სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი ორგანიზაციული პრინციპების გატარებისა და კოორდინაციისთვის, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობის წარმართვის პროცესის მოქნილობას, სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალური სტრუქტურული ერთეული-სამეცნიერო განყოფილება;
4.4. სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებაზე და მართვაზე პასუხიმგებელი სტრუქტურებს სრულად აღწერს სასწავლო უნივერსიტეტში „კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია“.

5. სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტი და დატვირთვა

5.1. სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტებია სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები (კათედრები), პროგრამული მიმართულებები და აფილირებული აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პერსონალი, ასისტენტ- პროფესორი);
5.2. კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და ყოველმხრივი მხარდაჭერა კათედრის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა
5.3. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პასუხისმგებელია სამეცნიერო ნაშრომის ხარისხზე, მის მიზნობრიობაზე, ეფექტიანობაზე. დაფინანსების შემთხვევაში - ფინანსური რესურსის ეკონომიურ განაწილებაზე;
5.4. სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტებს და კვლევითი საქმიანობის დატვირთვის სქემას, განსაზღვრავს უნივერსიტეტის „კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია“.

6. სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა

6.1. სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა ხორციელდება სასწავლო დაწესებულების საგანანმანათლებლო მიმართულებების შესაბამის პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომელსაც განსაზღვრავს მისი აკადემიური პერსონალი;
6.2. ფაკულტეტი/კათედრა დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის ძირითად საკითხს/თემას, რომლის განხორციელების პერიოდი შეიძლება იყოს მოკლევადიანი (ერთწლიანი) ან გრძელვადიანი (2-3 წლიანი). ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი გეგმა შესაბამის წესით შემუშავდება ფაკულტეტის საბჭოების მიერ ფაკულტეტის/ კათედრის დამტკიცებული გეგმის საფუძველზე;
6.3. აკადემიური პერსონალის ვალდებულებაა ჩაერთოს ფაკულტეტის/კათედრის როგორც პრიორიტეტების, ასევე საკვლევი თემის განსაზღვრაში; უნივერსიტეტი არ ზღუდავს მას განახორციელოს ამ თემატიკისაგან დამოუკიდებელი დამატებითი აქტივობები;
6.4. კვლევითი საქმიანობით ძირითადი საკითხის/თემის დამუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს სტუდენტები;
6.5. სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის პროცედურები სრულად აღწერილია უნივერსიტეტის “კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიაში“;

7. სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება და დაფინანსება

7.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, ასევე ინდივიდუალურად.

7.2. სამეცნიერო-კვლევით ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის პროფესორი და მასში შეიძლება შედიოდეს ერთი ან რამდენიმე მაგისტრანტი. სასურველია რომ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდეს აგრეთვე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებიც. ჯგუფის შემადგენლობა და სტრუქტურა განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის მიერ დამოუკიდებლად და აისახება სამუშაო ჯგუფის დოკუმენტაციაში.

7.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:

- უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- სამეცნიერო გრანტი;
- დაკვეთა/კონტრაქტი;
- კოოპერირებული ბიუჯეტი.

7.4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორიცელების მიზნით უნივერსიტეტი ატარებს როგორც ინდივიდუალურ და ჯგუფურ საგრანტო კონკურსებს, ასევე ახორციელებს თემატური პროექტებს.

7.5. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო-კვლევითი ერთეული წარმართავს ინტერდისციპლინარულ კვლევებს ან, კვლევითი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, მის მუშაობაში შეიძლება მონაწილეობდეს სხვა კვლევითი ერთეულის აკადემიური პერსონალი.

7.6. საგრანტო კონკურსზე წარდგენილი პროექტების თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებს.

7.7. სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები აგრეთვე მოიცავს:

- საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერის მექანიზმებს
- აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმებს
- აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობის მექანიზმებს.

7.8. სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები და პროცედურები სრულად აღწერილია უნივერსიტეტის „კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებში“ და „საგრანტო განაცხადის წარდგენის წესში“.

8. სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშგება და საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება

8.1. სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშგების შემადგენელი ნაწილია:

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშები;
- ფაკულტეტის/კათედრის ყოველწლიური ანგარიშები;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება;

8.2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ამზადებს ერთიან ანგარიშს (პროდუქტულობის სტატისტიკას) უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგების შესახებ;

8.3. უნივერსიტეტის ერთიანი სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი შედეგების საფუძველზე ხდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და შემდეგი წლის სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრა.

8.4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის/პროდუქტიულობის შეფასება ხდება შემდეგნაირად: აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული აქტივობები მრავლდება შესაბამის კოეფიციენტზე, შედეგები იკრიბება და მიღებული ჯამით განისაზღვრება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დონე:

A - საუკეთესო (100% <)
B - კარგი (71%-100%)
C - საკმარისი (51%-70%)
D - დამაკმაყოფილებელი (31%-50%)

8.5. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებითა და კოეფიციენტებით ერთ აქტივობაზე გაანგარიშებით:

1 - მონოგრაფიის გამოქვეყნება (ქართულ ენაზე) - 4
2 - მონოგრაფიის გამოქვეყნება (უცხოურ ენაზე) - 6
3 - სახელმძღვანელოს გამოქვეყნება (ქართულ ენაზე) - 3
4 - სახელმძღვანელოს გამოქვეყნება (უცხოურ ენაზე) - 5
5 - სტატიის გამოქვეყნება (ქართულ ენაზე) – 2
6 - სტატიის გამოქვეყნება (უცხოურ ენაზე) - 3
7 - კონფერენციაში მონაწილეობა/მოხსენება საქართველოში - 2
8 - კონფერენციაში მონაწილეობა/მოხსენება უცხოეთში - 4
9 - კვალიფიკაციის ამაღლების კურსები/ტრენინგები საქართველოში -3
10 - კვალიფიკაციის ამაღლების კურსები/ტრენინგები უცხოეთში - 4
11 - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - 5
12 - პრაქტიკის ხელმძღვანელობა - 4
13 - სტუდენტის ხელმძღვანელობა სამეცნიერო მოხსენებისთვის - 3
14 - საჯარო ლექციები საქართველოში - 3
15 - საჯარო ლექციები უცხოეთში - 5
16 - სახელმწიფო/საერთაშორისო ჯილდო - 3
17 - მოპოვებული სტიპენდიები საქართველოში - 3
18 - მოპოვებული სტიპენდიები უცხოეთში - 5
19 - საქართველოში მოპოვებული გრანტები - 5
20 - საზღვარგარეთ მოპოვებული გრანტები - 7
21 - სამეცნიერო გამოცემების რედაქტორობა - 5
22 - სარედაქციო საბჭოს წევრობა - 3
23 - საერთაშორისო კვლევითი პროექტის ხელმძღვანელობა - 6
24 - აქტივობა საზოგადოების განვითარების მიმართულებით - 7

8.6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის საერთო მაჩვენებლის გაანგარიშებისთვის საჭიროა ყველა აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური მაჩვენებლის გამოთვლა. მიღებული შედეგები ჯამდება და გამოითვლება საშუალო მაჩვენებელი.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის მაჩვენებელი მინიმალურზე დაბალია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამის პერსონალს აწვდის შედეგებს განმარტების მოთხოვნით.

8.8. პერსონალის მონაწილეობით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგება სამოქმედო გეგმა ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

8.9. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიძლება დადგეს საკითხი საკადრო ცვლილების შესახებ.